

მარინე ბერიძე

არსებობის ზმნები და სიმრცის დანაწევრება ქართულში

არსებობის, მყოფობის აღსანიშნავად ძველ ქართულში ერთმანეთის გვერდით გვხვდება **არს** და **ჰგიეს** ზმნები. მათი გამოყენების არე რამდენადმე გამიჯნულია — **ჰგიეს** მხოლოდ დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით გვხვდება, **არს** კი უპირატესად მეშველი ზმნის როლში გვევლინება. თუმცა, საკმაოდ ხშირია მისი დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევებიც. ამ ორი ზმნის არსებობა ძველ ქართულში წარმოგვიდგენს არსებობის სემანტიკის დიფერენცირებული გამოხატვის გაფერმკრთალებულ სურათს. შემდეგ ეს დიფერენციაცია უკვე მოშლილია: **ჰგიეს** ზმნა აღარა გვაქვს, **არის** ზმნა ითავსებს **არს** და **ჰგიეს ზმნათა ფუნქციებს**. რასაკვირველია, მეშველი ან დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით გამოყენება მხოლოდ გვიანდელი ანარეკლია ამ ზმნათა შორის არსებული ფუნქციური (სემანტიკური) განსხვავებისა.

არსებობის სემანტიკის დიფერენცირებული გამოხატვა უდავო ფაქტი ჩანს ქართულში. სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანად არის შესწავლილი ე.წ. ქონა-ყოლის ზმნები, რომელთა მრავალფეროვნებაც სწორედ არსებობის სემანტიკის მრავალგვარობით არის გამოწვეული. ბოლო წლების გამოკვლევებში ხაზი ესმევა არსებობის სემანტიკაში პირისა და არაპირის არსებობის ფაქტორს, აგრეთვე მიუთითებენ ზოგად, ანუ განყენებულ არსებობაზეც (არაბული 2001, 236). ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ უძველეს ქართულში გარჩეული უნდა ყოფილიყო „თავისთავადი“, „ეგზისტენციალური“ და „ეგზეკუტორული“ არსებობა.

არსებობის ზმნათა ამოსავალი სემანტიკის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო ძირეული მასალის მქონე ერთეულების გამოყოფას და მათ კვლევას.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ჰგიეს** ზმნაში ერთსულოვნად არის გამოყოფილი -გ- ძირი, რომელსაც დინამიკურ ფორმებში გამოყოფილ -გ-ს უკავშირებენ: ჰ-გ-ებ-ს, ა-გ-ებ-ს, ე-გ-ებ-ი-ს, მ-გ-ე (იხ. ჩუბინაშვილი)... და ა. შ. იგივე -გ- ძირი დასტურდება საერთო ქართველურ მასალაშიც: მეგრ.: **გ-აფ-ა**; ლაზ.: **ო-გ-აფ-უ**; სვან.: **ლგ -გ**. (ჩიქობავა, ჭარაია, შანიძე, მაჭავარიანი, თოფურია, ქავთარაძე, შმიდტი, კლიმოვი, გამყრელიძე-მაჭავარიანი, ფენრიხ — სარჯველაძე, არაბული...)

-გ- ძირის შემცველი ფორმები სვანურსა და მეგრულში ქონა-ყოლის სემანტიკის ზმნებშიც დასტურდება: მეგრ.: **მემო-გ-გ** — „მაცვია“; სვან.: ხ-ო-გ — „აქვს“ (შდრ. უ-გ-ია).

ჩვენთვის საინტერესო -გ- ძირს გ. კლიმოვი მეგრულ-ქართულის ერთიანობის ხანისთვის აღადგენს (კლიმოვი 1990, 57), ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე

კი მას საერთო ქართველურის კუთვნილებად თვლიან (ფენრიხი, სარჯველაძე, გვ. 70).

არის -გ- ძირის შუმერულთან დაკავშირების ცდაც: (გორდეზიანი, წერეთელი)

ვფიქრობთ, შესაძლებელი უნდა იყოს ამავე -გ- ძირის სხვა მასალაში მოძიება. სახელდობრ, ჩვენი ყურადღება მიიქცია **ადგილი** ფორმამ.

გ. თოფურია ამ ფორმაში -გ- ძირს გამოყოფს და — დ-ს კლას-კატეგორიის ნიშნად მიიჩნევს (თოფურია 1942, 151) ივ. ქავთარაძე -გ- ძირს ჩვენთვის საინტერესო **ჰგიეს** ზმნას უკავშირებს (ქავთარაძე 1954, 155).

არის სხვა მოსაზრებაც — არნ. ჩიქობავა **ადგილ**-ში ძირად **დეგ**-ს გამოყოფს (ჩიქობავა 1938). ასევე დაუშლელად წარმოადგენენ ამ ძირს (დეგ/დგ) და მას ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე აღადგენენ: ქ. დეგ / მ.ჭ. დგ / ს. გ (კლიმოვი, ფენრიხი და სარჯველაძე). დაუშლელად მოიაზრებს დეგ- მონაცემს იზ. ჩანტლაძეც (ჩანტლაძე 2006, 69-72).

ვფიქრობთ, **დგას** და, შესაბამისად, მისგან ნაწარმოებ **ადგილი** ფორმაში -გ-ს ძირად გამოყოფას საკმაო საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამის შესახებ უფრო ვრცლად მსჯელობა გვქონდა ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში (ბერიძე 2005, 236-237), რომელშიც ვწერდით დგ- და რგ- ძირთა მიმართებაზე, სადაც **დ-** და **რ-** თავსართთა ისეთივე მონაცვლეობა უნდა გვქონდეს, როგორც **თ-ქუა** და **რ-ქუა** ზმნის შემთხვევაში გვაქვს. საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს **ადგილი** და **ალაგი** ფორმათა დაკავშირებას და ამ ფორმებში ა- პრეფიქსის და **-გ-** და **ლაგ-** ძირების გამოყოფას (თოფურია 1947, 95; ყიფშიძე 1914, 193). ა-ს პრეფიქსად გამოყოფს ჰ. ფოგტიც (ფოგტი 1974, 110).

ადგილისა და **ალაგის** მნიშვნელობები ძვ. ქართულში არსებით სხვაობას ავლენენ — პირველი სივრცის ლოკალურ წერტილს ასახავს, მეორე კი სივრცის გარკვეულ მონაკვეთს — გზას, ბილიკს. როგორც ადრეც აღვნიშნავდით, ადგილისა და ალაგის მნიშვნელობაში საერთოა ის, რომ ორივე ფორმა აღნიშნავს „დასადგმელს“, „დასაბიჯებელს“ (ბერიძე 2005, 235-246).

ერთ შემთხვევაში ეს არის — საყრდენი, მიწა, რაზეც დგომა შეიძლება, რაზეც დგანან — **ადგილი**.

მეორე შემთხვევაში — ფეხი, ტერფი, კანჭი, ნაბიჯი, ბილიკი, გზა, ზღურბლი... — 1. რითიც დგომა შეიძლება, რითიც დგანან, 2. რაზეც დგომა შეიძლება, რაზეც დაბიჯება (გადაბიჯება) შეიძლება — **ალაგი**.

ორივე ეს ფორმა ძირეული მასალით უკავშირდება ჰ-გ-ი-ეს ზმნას. ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ უძველეს ქართულში უნდა გვქონოდა არსებობის სემანტიკის დიფერენცირებული გამოხატვა: ჰგიეს ზმნა უნდა ყოფილიყო არათავისთავადი, ეგზეკუტორული არსებობის გამომხატველი. ასეთი არსებობა ჰ-გ-ი-ეს ფორმაში, ჩვენი აზრით, წარმოდგენილია, როგორც იმპერსონალური III პირის სუბიექტის (მრ. რ) აქტიური მოქმედების შედეგი (ბერიძე 1994, 2005).

სემანტიკური მიმართება ჰ-გ-ი-ეს ზმნასა და ჩვენთვის საინტერესო ფორმათა შორის ასეთია: სტატიკური, ეგზეკუტორული არსებობა გამომხატული **ჰგიეს** ზმნით, შესაძლებელია სივრცის იმ მონაკვეთში, რომელსაც გამოანაწევრებს

ადგილი და ალაგი.

ვფიქრობთ, ამავე კონტექსტში, *ა-ღ-ვ-ილ ი — ა-ლა-ვ-ი* ფორმათა გვერდით უნდა განვიხილოთ *ა-რ-ე* ფორმაც, რომელიც მოძრაობისა და ყოფნის სემანტიკის *ა-რ-ს*, *ი-ა-რ-ებ-ა...* ფორმების *რ-* ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული. **არს** ზმნასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი (ბიბლიოგრაფიისთვის: არაბული 2001; ლოლაძე 1995).

სამივე ქართველურ ენაში ამ ზმნისთვის საერთო *-რ-* ძირს გამოყოფენ (ქ. *გ-ა-რ*; მეგრ. : *გ-ო-რ-ე*; ლაზ.: *ბ-ო-რ-ე*; სვ.: *ხუ-ა-რ-ი*).

ამ ძირს სრულიად სამართლიანად უკავშირებენ „სვლის“, „მოძრაობის“ აღმნიშვნელ ზმნებში გამოყოფილ *-რ-* ძირს: *სი-ა-რ-ულ-ი*, *რ-ება*, *ა-რ-ო*, *მ-არ-ებ-ი*, *მ-რ-ევ-ლ-ი* (ზ. ჭუმბურიძე), *გან-რ-ომა* (შდრ. მეგრ.: *გ-ო-რ-ინ-უნ-ქ* „ვიფარებ“),

სვან. მი-რ-ი და *სხვ.*

გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკვლევი ზმნა შუმერულის *ar-* („სვლა, გზა“), *ara-* („სიარული“) ძირებს უნდა უკავშირდებოდეს (გორდეზიანი 1985, 41). არაქართულ მასალასთან კავშირში განიხილავს *-რ-* ძირს ნელი მახარაძეც.

ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ შეადგენს საკვლევი ძირის წარმომავლობის ძიება. ვფიქრობთ, **ა-რ-ის** და **ა-რ-ე** ფორმებში საერთო *-რ-* ძირის ვარაუდი ქართველური ენობრივი მასალის გათვალისწინებით გამართლებული ჩანს.

ა-რ-ე ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: 1. ზაფხული, გაზაფხული, შემოდგომა, დრო, სეზონი; 2. ყანა, ველი, ადგილი, მხარე, კუთხე (ი. აბულაძე; ზ. სარჯველაძე)

სულხან-საბა **არეს** ასე განმარტავს: **არე**, რომელსა ეწოდების **ჰარე**. ესე არს უქვემოესი ჰაერი ქვეყანისა მანლობლად, რომელსა თემთა ზედა სადმე ჰაერკეთილობას და მაშენობასა იტყვიან და სადმე ჰაერმძიმობასა და უმაშნობასა. სხვაგან, **ჰაერის** განმარტებისას, საბა წერს: **არე** სამ რიგად ითქმის წერილთა შინა: **არე** გაზაფხულად ითქმის, რომელსა იტყვის სთველი და არე; მეორე იშვიათისად იტყვის — ხშირი და არე; ხოლო მესამედ ქვეყანისა არესა იტყვის (რომელ სადმე კეთილი და მაშენე არს, სადმე უმაშნო და ჰავი).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში **არე-ს** ძირითად მნიშვნელობებად გამოყოფილია დროისა და სივრცის დანაწევრების ფუნქცია. თანამედროვე ქართულში ის მხოლოდ სივრცეს აღნიშნავს:

ქეგლი: 1. მხარე, მიდამო, ადგილი, არემარე (წიგნ. გარკვეული ადგილი, განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რაიმე მოქმედება...; 2. კიდე.

სივრცული დანაწევრების მნიშვნელობის უპირატესობა ძველ ტექსტებშივე ჩანს.

სივრცული დანაწევრების მნიშვნელობა აქვთ ნაწარმოებ ფორმებსაც. მაგ.: **არეობა** — ველად ყოფნა (სარჯველაძე, აბულაძე): „არას გუავენბდეს ჩუნენ... ვიდრე იგი ვიყავით ჩვენ არეობად“ (I მეფ. 25, 19).

სულხან-საბა **არეობის** განსხვავებულ მნიშვნელობას მიუთითებს, თუმცა აქაც სივრცული მიმართების აღნიშვნაა წინ წამოწეული:

არეობა — სიხშოს წინააღმდეგი, ვითარცა თხელი, არე-არედ. (იხ. **არე-**

არე — აქა-იქ). საბა განმარტავს **არე-მარე** ფორმასაც — „გარეშემოსავით“.

მაშასადამე, ძველი ქართულიდან დღემდე **არე-ს** მნიშვნელობამ ცვლილება განიცადა — დროის, სეზონის აღნიშვნა მოიშალა, სამაგიეროდ, გაძლიერდა სემანტიკური ველი სივრცის დიფერენცირების ნიშნით.

აი, ის ძირითადი მნიშვნელობები, რომლებიც სივრცულ დანაწევრებას უკავშირდება:

არე — სივრცის, ატმოსფეროს ნაწილი დედამიწასთან ახლოს;

არე — თავისუფალი ადგილი რაღაცით შევსებულ, დაკავებულ სივრცეში (სიხშოს წინააღმდეგი);

არე — თავისუფალი ადგილი რაღაცით დაკავებული სივრცის ირგვლივ (წიგნის, ფურცლის, გაზეთის... არე — ქეგლი);

არე — თავისუფალი სივრცე ჩაკეტილთან მიმართებით (არეობა) და სხვ.

არეს მნიშვნელობის გააზრებისას პრინციპულად გვესახება სულხან-საბას განმარტება, როცა ის **არედ** მიიჩნევს ატმოსფეროს იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე დაბლაა და უშუალოდ აკრავს დედამიწას. ფაქტობრივად, ეს გახლავთ ჩვენი ბიოსფერო, რომლის ბინადრებიც გადაადგილდებიან ამ „არეში“ და ამ ფორმით „არსებობენ“, „მყოფობენ“, „არიან“.

ჩვენი აზრით, **არე-ს** ეს მნიშვნელობები ნამდვილად გვაძლევს რება ზმნასთან მისი დაკავშირების საფუძველს. შეიძლება **ა-რ-ე** ისეთივე წარმოქმნილ სახელად გავიაზროთ, როგორც არის **ა-დ-გ-ილ-ი** და **ა-ლა-გ-ი**.

ა-რ-ე-ს სრულ სტრუქტურულ შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ: სვანური **ლარე/ლარე** — სათიბი, მინდორი: „ემსუ ლი წმიდა ელიაჲ ლარე“ — წმინდა ელიას მინდორია და მეგრ. **ო-რო** — ჩრდილი, აჩრდილი.

ა-რ-ე-ს ფუნქციურ შესატყვისად გვეჩვენება მეგრული **ორიჯი / ორინჯი** — საქონელი. შდრ.: ქართ. **საყოლი** და მეგრ. **ჩხუუ** — ძროხა. ეს უკანასკნელი **ცხოველს** უკავშირდება.

ო-რ-იჯ-ი ფორმის სემანტიკა გამჭვირვალეა: ის, რაც დადის, რაც მოძრავია, ცოცხალია, საყოლია... ამ ფორმის მიხედვით შეიძლება აღდგენა სავარაუდოდ ქართული ფორმისა: ***ა-რ-ი-რ-ი**. შეუძლებელია, აქ არ გაგვახსენდეს **ა-რ-ილ-ი** (საბა: 1. დასავანებელი სიწმიდეთანი; 2. მზის შუქი, რამეზე დამდგარი).

მ. ჩუხუამ ერთმანეთს დაუკავშირა ქართული **არ-ილი** და მეგრული **ორ-ო**. მკვლევარი **არ-** და **ორ-** ძირებს გამოყოფს და აღნიშნავს, რომ „არ-ილ-ი ლექსემის ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია ზანურში ორ-ო „მზის ჩრდილი, ჩრდილი, აჩრდილი“ (ჩუხუა 2000-2003, 422). ამავე არ- ძირს გამოყოფს ავტორი სვან მა-ჰარა (ჩრდილიანი ადგილი) ფორმაში.

ჩვენც ამ ორ ფორმას ერთმანეთის შესატყვისად მივიჩნევდით (ბერიძე 2002) თუმცა გამოყოფდით ა- და ო- პრეფიქსებს და, შესაბამისად, ფორმებს ასე ვწოდებთ: **ა-რ-ილ-ი — ო-რ-ო**. როგორც აღვნიშნეთ, ვთვლიდით, რომ **ო-რ-ო ა-რ-ილ-ი-ს** ზუსტი სემანტიკური შესატყვისია, ხოლო მისი ზუსტი სტრუქტურული შესატყვისი უნდა იყოს ზემოთ განხილული ფორმა: **ო-რ-იჯ-ი / ო-რ-ინჯ-ი**.

ა-რ-ე, ო-რ-ო ფორმებს ჩვენი აზრით, გვერდში უდგას სვან. **ჰარი** — ცარიელი. **ცარიელი-ს** სემანტიკა ახლოსაა ა-რ-ე-ს ერთ-ერთ სემანტიკურ კომ-

პონენტთან — თავისუფალი სივრცე (შდრ.: საბა — არე: იშვიათისად იტყვის — ხშირი და არე).

ვფიქრობთ, სამივე ფორმა: **ა-დგ-ილ-ი**, **ა-ლა-გ-ი**, **ა-რ-ე** შესაბამისი ზმნური ძირებიდან ნაწარმოები დანიშნულების სახელებია: **ა-რ-ე** — სივრცის ნაწილი, ან მთელი სივრცე, რომელიც დანიშნულია მოძრავი, არალოკალიზებული სუბიექტის (არსის) არსებობისათვის, **ალაგი / ადგილი კი** — უძრავი, ლოკალიზებული არსის არსებობისათვის.

მოძრავისა (ცოცხალის, სულიერის) და არამოძრავის (უსულოს) გარჩევა ენის უნივერსალური თვისებაა და ქართულშიც ეს მოვლენა მრავალი სხვადასხვა ასპექტით არის წარმოდგენილი. ამაზე აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არსებობის გამომხატველი **-რ-ს** შემცველი ძირები ქართველურ ენებში დღესაც გვიჩვენებენ მოძრავის, სულიერის (ადამიანის) არსებობის აღნიშვნის პრიმატს. მაგ. **მ-ი-რ-ი** ფორმა სვანურში უმთავრესად „მყავს“ მნიშვნელობით გვაქვს და მისი გამოყენება უსულო (არამოძრავი, არაცოცხალი) არსებობის აღსანიშნად, გვიანდელი უნდა იყოს.

მხოლოდ სულიერის არსებობას აღნიშნავს **ლირდე** ფორმა, რომელიც **არი** ზმნის საწყისს წარმოადგენს. მასში გამოყოფენ **-რდ-** ძირს, რომელიც ასევე აქტიურად მონაწილეობს **არი** ზმნის დეფექტური პარადიგმის შესავსებად — აწმყო: ხვარი, ხარი, არი — მყ. სრული: ხუირდი, ხირდი, ხერდი ... (თოფურია 1967, 244). სწორედ **-რ-** ძირის შემცველი არსებობის გამომხატველი ზმნასთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული **-რდ-** ძირის შემცველი **ლარდა** (სამყოფი, საცხოვრებელი) გვაქვს გამოყენებული სვანურ ფორმაში: **ლაგნა-ლარდა** სადგომ-სამყოფი ანუ ადგილი ყოველგვარი (უძრავი და მოძრავი, სულიერი და უსულო...) არსებობისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ახალი არ არის აზრი იმის შესახებ, რომ **არს** და **ჰაიეს** ზმნები არსებობის განსხვავებულ სემანტიკას გამოხატავენ.

არსებობის სემანტიკის დიფერენციაცია აისახა ამ ზმნათაგან ნაწარმოებ სახელებშიც. აქტიური და პასიური მყოფობის გარჩევა რომ უცხო არ არის ქართულისთვის, ამას იმავე მნიშვნელობის გამომხატველი სხვა ფორმებიც მოწმობს: **სუფევს, იყოფება...** მაგრამ — **მდებარეობს**.

ყოველივე აღნიშნული კიდევ ერთხელ ეხმიანება ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ **ჰაიეს** ზმნა არააქტიური (ეგზეკუტორული) არსებობის გამომხატველია და წარმოადგენს III იმპერსონალური პირის (მრ. რ.) მოქმედების შედეგს (შდრ. *ჰრქვიან მათ მას ის — ჰქვია მას ის). ხოლო **არს (არის)** ზმნა მოქმედ, აქტიური სუბიექტის არსებობას (ეგზისტენციალური არსებობა) გამოხატავს და ეს არსებობა (მდგომარეობა) ვლინდება იმაში, რომ ის **არს — იარება, დადის, ვალს, უვის...**

შესაბამისია არსებობის ამ ფორმათაგან გამონაწევრებული სივრცეც: ის, რაც **ჰაიეს**, არსებობს სივრცის იმ მონაკვეთში, რომელსაც გამონაწევრებს **ადგილი** ან **ალაგი**. ის, რაც **არს** — მყოფობს, არსებობს, გადაადგილდება **ა-რ-ე-ში**.

ლიტერატურა

- აბულაძე 1973** — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
- არაბული 2001** — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2001.
- ბერიძე 1994** — მ. ბერიძე, „ჰიეს“ ტიპის ზმნათა დაბოლოების საკითხისათვის ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1994.
- ბერიძე 1998** — მ. ბერიძე, სტატისტიკური ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბილისი, 1998.
- ბერიძე 2002** — მ. ბერიძე, არს (არის)“ — „ჰიეს“ და „არე“, „ადგილი“, „ალაგი“ ფორმათა სემანტიკური და ფორმოზოგი მიმართებისათვის, „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, მასალები, თბილისი, 2002.
- ბერიძე 2005** — მ. ბერიძე, ალავის ეტიმოლოგიისათვის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 2005.
- გორდეზიანი 1985** — რ. გორდეზიანი, წინარებერძული და ქართველური, თბილისი, 1985.
- თოფურია, ქალდანი 2000** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
- თოფურია 1947** — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან IV, ხმოვანთავსართოვანი სახელები, შრომები ტ. III, თბილისი, 1947.
- თოფურია 1942** — ვ. თოფურია, დ თავსართიანი ზმნები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXV, თბილისი, 1942.
- თოფურია 1967** — ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ზმნა, თბილისი, 1967.
- კლიმოვი 1964** — Этимологический словарь картвелских языков, Москва, 1964.
- ლოლაძე 1995** — ნ. ლოლაძე, სტატისტიკური ზმნათა ფორმოზოგი და სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1995.
- მარი 1925** — Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
- მახარაძე 2005** — ნ. მახარაძე, საერთოქართველური *-არ ძირის სემანტიკური არქეტიპის ძიებისათვის. — ჟურნ. „პერსპექტივა“, VI, თბილისი, 2005.
- სარჯველაძე 1995** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.
- სარჯველაძე 2001** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.
- სერებრიაკოვი 1967** — Древнегрузинско-русский словарь, Тбилиси, 1967.
- სულხან-საბა ორბელიანი**, სიტყვის კონა, თბილისი, 1993.

ფენრიხი და სარჯველაძე 1990 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990.

ფოგტი 1974 — Notes d'etimologique georgienne. New forme of linguistics.

ქავთარაძე 1954 — ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

ქეგელი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ყიფშიძე 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрелского (иверского) языка, С.-Петербург, 1914.

ჩანტლაძე 2006 — ი. ჩანტლაძე, ძირის სემანტიკური ვარიაციები ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2006.

ჩართოლანი 2000 — ნ. ჩართოლანი, ჰანს ფოგტი, თბილისი, 2000.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ჭუმბურიძე 2002 — ზ. ჭუმბურიძე, შოთა ძიძიგურს (დაბადების 90 წლითავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 2002.

MARINE BERIDZE

Verbs of Existence and Distribution of Space in Georgian

Summary

It has been sounded in the scientific literature, that the **ars / ars** (he/she/it is) and **hgies / hgies** (it is) verbs express different semantics of existence. The differentiation of semantics of existence has exerted an influence on the related (originated) words.

All of the abovementioned once again emphasizes our attitude towards the fact, that **hgies** verb depicts inactive (executorial) existence and represents the result of an activity by the 3rd impersonal person (plural). (Comparing: **hrqvian mat mas is _ hqvian mas is**). As for the **ars (aris) (to be)** verb, it expresses an active subject (existential existence) and this existence (condition) is presented in the following way: **ars – iareba, dadis, vals.... (he is going)**.

In comparison to these verbs of existence, the distribution of space in the language carries the analogical form: **hgies** verb exists in the space, which is distinguished by **adgili (place) or alagi (place)**. As for **ars** verb, it is transferred to **a-r-e**.

The article discusses the data of old Georgian and Kartvelian languages and provides the attempts of the following formations functionally and strategically connected with the **ars** verb:

Georg. **are, arili**; Svan. **lare**, Megr. **orizi** and **oro**, etc.